<u>ამონაწერი</u>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი № 2

7 მარტი, 2025 წ.

საბჭოს წევრები:

1. ბრეგვაძე ლაშა
2. დავითაშვილი გიორგი
3. ზოიძე ბესარიონ
4. თოდუა ნონა
5. ივანიძე მაია
6. ფაფიაშვილი ლალი
7. ქურდაძე ირინე
8. ჭიღლაძე ნანა
9. ხარშილაძე ირმა
10. ხუციშვილი ქეთევან
11. ბოსტოღანაშვილი დავით
12. გონაშვილი ვასილ
13. ზარანდია თამარ
14. ლორია ხათუნა
15. მახარობლიშვილი გიორგი
16. შალიკაშვილი მორის
17. კევლიშვილი მარიამ
18. ნუცუბიძე მაკა
19. ღვამიჩავა თამარ

ასევე საბჭოს არაწევრები:

1. გიორგიძე ალექსანდრე
2. გვილავა მაია
3. დვალიძე ირაკლი
4. ლაპიაშვილი ნინო
5. ტეფნაძე ნიკა

<u>დღის წესრიგი:</u>

14. იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში შესატანი ცვლილებების პროექტების განხილვა / დამტკიცება;

<u>განიხილეს:</u>

14. იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში შესატანი ცვლილებების პროექტების განხილვა / დამტკიცება;

თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა და სადოქტორო პროგრამის ავტორმა ქალბატონმა ნინო ლაპიაშვილმა აღნიშნა, რომ ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომელთა კატეგორიზაცია შესაძლებელია სამ ჯგუფად.

პირველ რიგში, ცვლილება ეხება პროგრამის ხელმძღვანელთა ჩამონათვალს, ვინაიდან პროგრამათა ერთ-ერთი თანახელმძღვანელი პროფესორი ვასილ კაჭარავა გარდაიცვალა. ამ ფაქტმა გამოიწვია პროგრამის ხელმძღვანელთა ჩამონათვალის კორექტირება.

ცვლილებათა მეორე კატეგორია ეხება სტუდენტთათვის ახალი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზებას. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების დამატება გამოწვეულია საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავების საჭიროებით, აგრეთვე აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის დამატებითი ღონისძიებით შესრულებისა და ევროკავშირის ერაზმუს+ ჟან მონეს მოდულის პროექტის იმპლემენტაციისათვის.

ქალბატონმა ნინომ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა არჩევითი კურსის ფარგლებში აირჩიონ სასწავლო დისციპლინა "შესავალი ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასა და სამართალში", ხოლო სამაგისტრო დონეზე პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი „ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისა და სამართლის გავლენა კანდიდატი ქვეყნების დემოკრატიზაციაზე". ქალბატონმა ნინომ დააზუსტა, რომ თითოეული ცვლილება შეთანხმებულია იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან ბატონ გიორგი მახარობლიშვილთან.

ცვლილებათა მესამე კატეგორია ეხება პროგრამის განმახორციელებლ ხელმძღვანელებს, რომლებიც პროგრამათა აკრედიტაციის პერიოდში გარდაიცვალნენ. ვინაიდან პროგრამის განმახორციელებელი ვერ იქნება გარდაცვლილი პირი, შესაბამისად, დღის წესრიგში ჩადგა ლექტორთა ჩანაცვლების საკითხი.

ქალბატონმა ნინომ ცვლილებების შესახებ საბჭოს წევრებს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია ცვლილებებზე, რომლებიც წარმოდგენილია ***დანართი №8-ის სახით.***

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს:

საბჭოს წევრებმა განიხილეს იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში შესატანი ცვლილებების პროექტები. ***დანართი №8-ის სახით*** წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მათ ერთხმად დაამტკიცეს აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარე

ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია

საბჭოს მდივანი

ასისტენტ-პროფესორი მარიამ კევლიშვილი

ამონაწერი სწორია

საბჭოს მდივანი

ასისტენტ-პროფესორი მარიამ კევლიშვილი